



## ინფორმაცია

### საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 6 თვის სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი:
  - 2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
  - 2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
3. დასკვნა

#### 1. შესავალი

2014 წელს ექვს თვეში სულ განხილულია 349 საკასაციო საჩივარი, აქედან გაუქმდა 25 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21 გადაწყვეტილება-განჩინება (თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა 18 საქმე; რუსთავის საქალაქო სასამართლომ – 1 საქმე, თელავის რაიონულმა სასამართლომ – 1 საქმე; ხაშურის რაიონულმა სასამართლომ – 1 საქმე);
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 4 გადაწყვეტილება-განჩინება (საჩხერის რაიონულმა სასამართლომ განიხილა 1 საქმე; ლენტეხის მაგისტრატმა სასამართლომ – 2 საქმე; ფოთის საქალაქო სასამართლომ – 1 საქმე).

#### 2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

**სასამართლოს შეცდომა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36.3 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (3ბ/53-12, 22.02.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№3/49 55-10, 31.03.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სსკ-ის 390.3 მუხლის საფუძველზე სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და დამატებით აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოსაზრება, ყალბი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის თანახმად, აღსრულების განხორციელების შესახებ, ვერ გახდება სადავო აქტების ბათილობის საფუძველი. სასამართლომ არ იმსჯელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36.3 მუხლით განსაზღვრული სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძვლის არსებობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ბინის მესაკუთრის დავალიანება მესამე პირის მიმართ. შემძენმა აუქციონის

გამართვამდე და მასში გამარჯვებამდე იცოდა, რომ უძრავი ნივთი იპოთეკით დაიტვირთა არაუფლებამოსილი პირის მიერ, ხოლო იპოთეკით დატვირთული ბინა არც სესხის ხელშეკრულების დადების მომენტში და არც მის შემდეგ სესხის ამლებზე რეგისტრირებული არ ყოფილა. ამდენად, უძრავი ნივთის მესაკუთრეს არც თავისი და არც მესამე პირის სასარგებლოდ საკუთრების, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებაზე ნება არ გამოუვლენია. აღნიშნული გარემოებების გარკვევა არის განსახილველი დავის კანონიერი გადაწყვეტის სავალდებულო პირობა, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებს მოცემულ საქმეზე დადგენილი არ აქვთ. მითითებული გარემოებების გამოკვლევის მიზნით, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-428-423(კ)-12, 06.04.2014**).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 32.4 და სსკ-ის მე-10 მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (3/ბ-34-13, 23.04.13) საჩხერის რაიონული სასამართლოს (საქმე № 3/28-12, 05.12.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნო სადავო აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა ისე, რომ არ გაითვალისწინა სსკ-ის მე-10 და საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლების მოთხოვნები, რომლებიც ადგენენ სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულოობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას, რადგან სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ამიტომ გაურკვეველია, გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე რა საკითხი უნდა განიხილოს საკრებულომ, რა გარემოებები უნდა გამოიკვლიოს და რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მან სადავო საკითხზე, როდესაც იმავე მხარეებს შორის, იმავე სადავო ქონებაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით კანონიერად არის ცნობილი სადავო მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია და მოსარჩელის საკუთრების უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სრულად დააკმაყოფილა სარჩელი სადავო აქტის ბათილად ცნობის შესახებ (**გადაწყვეტილება №ბს-406-395(3კ)-13, 06.02.2014**).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 32.4, სსკ-ის 390.3 და 249-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (3ბ/420-13, 30.05.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№3/4470-12, 07.02.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ მიუთითა რაიმე ისეთ გარემოებებზე, რომელთა გამოკვლევა და შეფასება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა და მხოლოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ აპელანტმა ვერ წარადგინა რაიმე მტკიცებულება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძვლის არარსებობის შესახებ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოარკვიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, სათანადოდ შეაფასოს შეკრებილი მტკიცებულებები და გამოიტანოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-358-348(კ-13) 25.03.14).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის მე-4, მე-19, 32.4 მუხლები, სსკ-ის 105-ე, 385.2 მუხლები):** თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/650-13, 20.06.2013) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1224-13, 07.05.2013) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ობიექტურად არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, არ გამოიყენა ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილება. ასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებისას არ მიუთითა ადმინისტრაციული ორგანოს რომელი ფაქტების გამოკვლევაა საჭირო ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას, არ დაკითხა არც ერთი მოწმე, რომელიც დაადასტურებდა ინვენტარის გადაზიდვის მომენტში სალარო აპარატის დაკარგვის ფაქტს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს კი უფლება აქვთ, პირველ ინსტანციაში უკვე განხილულ მტკიცებულებებთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 385.2 მუხლის შესაბამისად, სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა, თავად გადაეწყვიტა დავა და არ გაეზიარებინა საქალაქო სასამართლოს დასკვნა ასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენებასთან მიმართებით, ვინაიდან, გასაჩივრებული აქტების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იყო დარღვეული აქტის გამოცემის ის პროცედურები, რაც უპირობოდ შექმნიდა საქმის ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნების წინაპირობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-413-402(კ-13), 04.03.14).

**ანალოგიური განჩინებაა №ბს-417-406(კ-13), 26.02.2014**

**იგივე შეცდომაა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/537-13 31.05.2013, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ: საქმე №3/582-13, 02.04.13.**

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 390.3, 105.2 მუხლები, ასკ-ის მე-19 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს (№3ბ/1160-13, 23.10.2013) თბილისის საქალაქო სასამართლოს (საქმე №3/1429-13, 16.07.2013) სააპელაციო საჩივრის განხილვისას სრულად

გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები, არ დაასაბუთა მათი უტყუარობა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად. საქმე არ იყო სრულყოფილად შესწავლილი და გამოკვლეული, რაც არ იძლეოდა სამართლებრივი შეფასებებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, ამით დაირღვა სსკ-ის 390.3, 105.2 და ასკ-ის მე-19 მუხლის მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენაში მდგომარეობს. აღნიშნული მოთხოვნა, რაც განპირობებულია მხარის ინტერესით, იცოდეს სახელმწიფოს სახელით გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძვლები და მოტივაცია, მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების უზრუნველყოფას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასკ-ის მე-19 მუხლის გამოყენებით სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს თუ როდიდან დაექვემდებარა ის სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს, სადაც მოსარჩელე მუშაობდა და როდიდან გახდა მოსარჩელე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და 1996 წლის 16 ოქტომბრის „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-659-634(კ-13), 29.04.2014).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 102.3 მუხლი, ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/885-12, 24.01.2013) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№3/2459-11, 29.05.2012) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, მხარეთა შორის არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი, რის გამოც არასწორად დაადგინა საქმის გარემოებები, ისე უარყო მოთხოვნა ხელფასისა და სადეპუტატო დავალიანების თაობაზე, რომ დაუდასტურებელი დატოვა ფაქტი დავალიანების რეალურად გაცემის შესახებ, არ იმსჯელა დანამატის ანაზღაურების შესახებ სარჩელის საფუძვლიანობაზე. სააპელაციო სასამართლომ არც ისარგებლა ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული საპროცესო კომპეტენციით და არ გამოითხოვა დამატებითი მტკიცებულებები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება, დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით, კერძოდ, კუთვნილი ხელფასის გაცემის ფაქტი უნდა დადასტურდეს შესაბამის დაწესებულებაში დაცული სახელფასო უწყისებით, რომელიც შეიცავს მონაცემებს ხელფასის გაცემის შესახებ და თანხის მიმღები პირის ხელმოწერას, რითაც უდავოდ დადასტურებული იქნებოდა მოსარჩელეთა მიმართ 1991 წლის დეკემბრის ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის დავალიანების არარსებობის ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-302-293(კ-13), 24.04.2014).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/58-13, 06.02.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3802-12, 13.12.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ, რადგან ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეს ფართის ლეგალიზებაზე გასაჩივრდა ადმინისტრაციული საჩივრით და საქმეზე ჯერ არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური არ იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება, უკანონო მშენებლობის გამო მოსარჩელის დაჯარიმების თაობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო დაშენების ლეგალიზების საკითხის გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია უნებართვო მშენებლობისათვის პირის დაჯარიმების საკითხის გადაწყვეტისას, შესაბამისად, მხოლოდ ასეთ გარემოებათა დადასტურების პირობებში სასამართლოს შეუძლია, დაადგინოს მოსარჩელის უნებართვო მშენებლობის გამო, დაჯარიმების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), რაც, სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-247-238(კ-13) 25.02.14).

**სასამართლო შეცდომა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე და 87-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/390-13, 28.06.2013) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2882-12, 24.01.2013) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სააღსრულებო ბიუროს აქტის კანონიერების შემოწმებისას მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა თბილისის სააღსრულებო ბიუროს პოლიციისათვის ქმედების დავალების თაობაზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს რესურსებითა და ხარჯით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება უზრუნველყოს, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. სასამართლომ არ გაითვალისწინა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 87-ე მუხლის მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააღსრულებო ბიურომ გამოიყენა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა ამავე კანონის 87-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 87-ე მუხლის თანახმად, თუ მოქმედება არ შეიძლება, შეასრულოს მესამე პირმა, რადგან ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ნებაზე, რომელიც არ ასრულებს ამ მოქმედებას, მაშინ მოვალეს შეიძლება, დაეკისროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. ამდენად, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უნდა უზრუნველყოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება, რა დროსაც სააღსრულებო ბიურომ მისთვის კანონით მინიჭებული ყველანაირი შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით

დაკმაყოფილა სარჩელი და აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაავალა გადაწყვეტილების აღსრულება კანონმდებლობით დადგენილი წესით (გადაწყვეტილება №ბს-476-464(კ-13) 24.04.2014).

**სასამართლოს შეცდომა (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25.1 მუხლი, სსკ-ის 106-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/137-13, 28.02.2013) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3307-12, 17.12.2012) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25.1 მუხლის დანაწესის გავრცელება ნივთის რეგისტრირებული მესაკუთრის მიმართ დაუშვებელია, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესული 23.09.2010 წლის განაჩენით დასტურდება, რომ მის მიმართ არ შეიძლება, მოქმედებდეს მოვალის უფლებამონაცვლედ ყოფნის პრეზუმფცია, რადგან იპოთეკის საგანზე მესაკუთრე შეიცვალა არაკანონიერი, თაღლითური გზით, აგრეთვე სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პრეიუდიციული მნიშვნელობის შესახებ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ეს არის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობაზე, ამდენად, ისინი ნამდვილ გარიგებებად იქნა მიჩნეული, შესაბამისად, არ დასტურდება 25.1 მუხლით განსაზღვრული პრეზუმფციის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობა. საქართველოს სკ-ის 185-ე, 312-ე მუხლებიდან გამომდინარე, კანონი მესაკუთრის ინტერესებთან შედარებით უპირატესობას კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს ანიჭებს, რითაც თავად სამოქალაქო ბრუნვის, როგორც ფასეულობის დაცვის უპირატეს ინტერესზე მიუთითებს. კეთილსინდისიერი პირის უფლება წარმოიქმნება რთული ფაქტობრივი შემადგენლობის შედეგად (არაუფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულების დადებით, ხელშეკრულების სასყიდლიანი ხასიათით, ნივთის ბრუნვაუნარიანობით, კონტრაქტის კეთილსინდისიერებითა და სხვ), რომლის თითოეულ ელემენტს აქვს იურიდიული მნიშვნელობა და მათი ერთობლივი ანალიზი არის შესაძლებელი დავის კანონიერი გადაწყვეტა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-287-279(კ-13) 03.06.14).

**სასამართლო შეცდომა (სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, ასკ-ის 17.2 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/585-13, 28.05.2013) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/659-13, 15.04.2013) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ ასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილების გამოყენებას, თუმცა არ მიუთითა რა ფაქტების გამოკვლევა საჭირო ახალი აქტის გამოცემისას. სასამართლომ ობიექტურად არ შეაფასება საქმეში არსებული მტკიცებულებები და არ გააქარწყლა აპელანტის მოსაზრებები. სააპელაციო სასამართლომ ასკ-ის 17.2 მუხლის შესაბამისად, დააკისრა მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოს, არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელემ არ უარყო სალარო აპარატის არასათანადო შენახვა და არ მიუთითა მესამე პირის ბრალეულ ქმედებაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე და სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 385.2 მუხლის შესაბამისად, სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა, თავად გადაეწყვიტა დავა და არ გაეზიარებინა საქალაქო სასამართლოს დასკვნა ასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით (**განჩინება №ბს-364-353(კ-13) 17.06.2014**).

**ანალოგიური განჩინებებია:** №ბს-534-515(კ-13), 20.05.2014, №ბს-389-378(კ-13), 20.05.2014  
**იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ:** №3ბ/732-13, 11.07.13, №3ბ/568-13, 11.06.2013, **ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ:** საქმე №3/1192-13, 13.05.2013, საქმე №3/659-13, 15.04.2013.

## 2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 61.7 მუხლი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე და 127.6 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/442-13, 22.05.13) თელავის რაიონული სასამართლოს (საქმე №3/12-13, 15.03.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა ზაკ-ის 61.7 მუხლი და აღნიშნა, რომ სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი შედეგების გაუქმებას. სააპელაციო პალატამ ასევე არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა განაცდურის ანაზღაურების თაობაზე იმ მოტივით, რომ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე და 127.6 მუხლების შესაბამისად, მოსამსახურეს იძულებითი განაცდური აუნაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხელე აღდგება სამსახურში.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტების გაუქმების მოთხოვნას საფუძვლად ელო მოსარჩელის სამსახურში აღდგენის ინტერესი, რაც აქტების გაუქმებას შედეგად არ მოჰყვება. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნიდა სააპელაციო სასამართლოს მიერ ზაკ-ის 61-ე მუხლზე მითითება, ვინაიდან ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი სამსახურში აღდგენა და არა აღდგენაზე უარის თქმა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით, მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან არამართლზომიერად განთავისუფლება, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უქმნის მის სამსახურში აღდგენის ვალდებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე (**გადაწყვეტილება №ბს-388-377(კ-13), 27.02.14**).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139.4 და 270.7 მუხლები):** თბილისის სააპელაციო სასამართლომ (3ბ/564-13, 12.06.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/506-13, 01.04.13) სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოარკვია, იკვეთებოდა თუ არა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139.4 ნაწილით დადგენილი ქმედების კვალიფიკაციისთვის სავალდებულო ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, რა გარემოებებით იყო გამოწვეული ღია მაღაზიაში სალარო აპარატის გაუმართავ მდგომარეობაში ქონა. არ გამოარკვია, მოსარჩელის ქმედება, როგორც ეს სადავო აქტშია აღწერილი, განეკუთვნება თუ არა კანონით დადგენილ სამართალდარღვევათა კატეგორიას, ასევე არ შეაფასა პირველი ინსტაციის სასამართლოს მსჯელობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270.7 მუხლის გამოყენების მიზანშეწონილობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსის საფუძველზე განმარტა, რომ საკანონმდებლო ნორმა ცალსახად ადგენს, რომ მეწარმის საქმიანობაში უნდა იკვეთებოდეს ორი ფაქტობრივი გარემოების ერთობლიობა: 1. აქტიური მოქმედება – ანგარიშსწორება და 2. უმოქმედობა - სალარო აპარატის გამოუყენებლობა. ამგვარი ერთობლიობის დაუდგენლობის შემთხვევაში ქმედების ან უმოქმედობის კვალიფიკაციისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის მისადაგება კანონსაწინააღმდეგოა. გაუგებარია, თუ მეწარმის ქმედებაში არ არის სამართალდარღვევის შემადგენლობა, საერთოდ რატომ უნდა შეეფარდოს სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციის რომელიმე, თუნდაც ყველაზე დაბალი ზომა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-421-410(კ-13), 25.02.14).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281.7, 269.2 269.7 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლო (3ბ/1044-13, 14.11.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/223-13, 17.07.13) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს და მიიჩნია, რომ მოსარჩელის არათუ განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობითაც არ მოქმედებდა, რადგან მოსარჩელემ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის ფაქტი განაცხადა საგადასახადო ორგანოში, ფაქტობრივად არასწორად შეაფასა ბრალეულობის საკითხი, არ იმსჯელა, არსებობდა თუ არა ისეთი ობიექტური გარემოება, რამაც, შეეძლო გამოერიცხა მეწარმის ბრალეულობის საკითხი.

**სასამართლოს განმარტება:** პალატამ აღნიშნა, რომ გადასახადის გადამხდელს, საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის გამო, პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სალარო-აპარატის დაკარგვა გამოწვეული იყო სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281.7 ნაწილის გამოყენება კანონსაწინააღმდეგოა. გარდა ამისა, საგადასახადო კოდექსის 269.2 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269.7 მუხლის ახალი



რედაქციის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს ან ღირსების განმხილველ ორგანოს ან სასამართლოს უფლება აქვს, გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი ამ კოდექსით გათვალისწინებული სანქციისაგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით ან არცოდნით, თუმცა ამგვარი უფლებამოსილება გამოყენებული უნდა იქნეს კანონიერების, მიუკერძოებლობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების ზედმიწევნით დაცვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-44-43(კ-14), 17.06.14).

**ანალოგიური განჩინება:** №ბს-467-455(კ-13), 06.05.14.

**იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ:** №3ბ/384-13, 13.06.13, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ: საქმე №3/809-13 17.04.13.

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 281.3, 269.5 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/731-13, 18.09.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1187-13, 01.05.13) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, არ დგინდება გადასახადის გადამხდელის განზრახვის არსებობა, მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშწორებისას არ გამოეყენებინა საკონტროლო-სალარო აპარატი, რადგან დადგენილია, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებლობის მიზეზს წარმოადგენდა აპარატის მოულოდნელი გაუმართაობა, რის შესახებაც გადასახადის გადამხდელმა დაუყოვნებლივ შეატყობინა უბნის ინსპექტორს. გარდა ამისა, მოსარჩელე ვაჭრობდა მალფუჭებადი პროდუქტით და საქმიანობის შეწყვეტა საკონტროლო-სალარო აპარატის შეკეთებამდე გამოიწვევდა მისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას. სააპელაციო პალატამ არ გამოარკვია, მოსარჩელის მხრიდან სალარო აპარატის გამოყენებლობა რისგან იყო განპირობებული, იყო თუ არა ბრალის გამომრიცხავი გარემოებები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269.5 მუხლის შესაბამისად, პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად. დაუძლეველ ძალად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას და არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისას აუცილებლად უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი დაუძლეველი ძალის მოქმედებასა და საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვალდებულების შეუსრულებლობას შორის. სასამართლომ უნდა იმსჯელოს, არსებობს თუ არა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-612-590(კ-13), 01.04.14).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ-141-13, 14.06.13) ლენტეხის მაგისტრატის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1, 05.04.13) შემოსული სააპელაციო საჩივრის

განხილვისას არ გაითვალისწინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50.1 მუხლში შეტანილი ცვლილება და ის გარემოება, რომ იმავე კანონის 101-ე მუხლი ამოღებულ იქნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატის განმარტებით, მოხელის, საპენსიო ასაკის გამო, სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს მხოლოდ დასაქმებულის უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს პენსიაზე გასვლის საკითხი, ხოლო დამსაქმებლისათვის მოხელის ასაკი აღარ წარმოადგენს მოხელის სამუშაოდან დათხოვნის შესაძლებლობას. ამდენად, საპენსიო ასაკს მიღწეული მოხელე, ისევე როგორც სხვა მოსამსახურე, ადმინისტრაციამ შეიძლება, გაათავისუფლოს სამუშაოდან საერთო საფუძველით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნო სადავო აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება № ბს-518-500(2კ-კს-13), 30.01.14).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 207-ე-208-ე, საქართველოს სკ-ის 992-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/220-13, 05.06.13) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-149-13, 24.12.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას იხელმძღვანელა ზაკ-ის 207-ე-208-ე, საქართველოს სკ-ის 992-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ დელიქტით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად უნდა არსებულიყო ზიანი, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და მიღებულ ზიანსა და მოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი, რაც, მოცემულ შემთხვევაში, არ გამოკვეთილა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებულია პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებული აქტების უკანონობა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები მაინც არ იყვნენ პასუხისმგებელი იმ მატერიალური ზიანისათვის, რაც განიცადა მოსარჩელემ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაკარგვით, რამდენადაც სადავო უძრავ ნივთზე მისი საკუთრების უფლების დამდგენი აქტი აღმასრულებლის განკარგულებაა, რომელიც ძალაშია და არ გაუქმებულა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** პალატამ აღნიშნა, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგა რა სახელმწიფოს უფლება სადავო უძრავ ქონებაზე და მასზე გაუქმდა კერძო პირთა საკუთრება, აღმასრულებლის განკარგულებამ იძულებითი აუქციონის წესით ქონების გასხვისების შესახებ დაკარგა იურიდიული ძალა და უსაფუძვლოა მითითება იმ გარემოებაზე, რომ აღმასრულებლის განკარგულების საფუძველზე მოსარჩელეს კვლავ ეძლევა საკუთრების აღდგენის შესაძლებლობა. მოსარჩელემ ზიანის სახით მოითხოვა ფაქტობრივად მიღებული ქონებრივი დანაკლისის კომპენსაცია, თუმცა სააპელაციო სასამართლოს განჩინებით არ უმსჯელიათ ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს რეალურად მიღებული დანაკლისის ოდენობაზე სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-551-532(კ-13), 27.03.14).

**სასამართლოს შეცდომა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.8 მუხლი, საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების მე-4 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-289-13, 21.10.2013) ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/31-13, 20.06.2013) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას, არ გაითვალისწინა, რომ, წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ვერ დგინდებოდა დაინტერესებული პირის უფლებამონაცვლეობა, მაშინ როდესაც სარჩელის საფუძველიანობის შემოწმებისა და დავის სწორად გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა უფლებამონაცვლეობის საკითხის დადგენას. სასამართლომ უგულებელყო „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 5.8 მუხლის მოთხოვნები.

**საკასაციო პალატის განმარტება:** პალატამ განმარტა, რომ სამეწარმეო ურთიერთობების სტაბილურობის მიზნით, კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა ვადა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იყო საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია. აღნიშნული ვადის დაწესება წარმოადგენდა სამართლებრივ შედეგს, ვადის გასვლის შემდეგ საწარმოებს ერთმეოდათ ხელახალი რეგისტრაციის შესაძლებლობა და, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.8 მუხლის თანახმად, რეგისტრაცია უქმდებოდა, რამდენადაც მათი სამართლებრივი მდგომარეობა უთანაბრდებოდა რეგისტრაციგაუქმებულ საწარმოს მდგომარეობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი სადავო აქტების ბათილად ცნობის თაობაზე (გადაწყვეტილება №ბს-640-615(კ-13), 08.05.2014).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე და 101-ე მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (3/ბ-157-2013, 25.06.13) ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს (№3/3, 18.04.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას დადგინდად მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, არ უცნობებია მოსარჩელისათვის, ასაკის გამო, სამსახურიდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ, რაც კანონის დარღვევას წარმოადგენს. ასევე მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ უნდა გავრცელდეს კანონის ახალი რედაქცია და საპენსიო ასაკის მიღწევა არ უნდა გახდეს მისი სამუშაოდან განთავისუფლების საფუძველი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში 20.03.2013 წლის კანონით შეტანილი ცვლილება არ ითვალისწინებს უკუქცევითი ძალის გამოყენების შესაძლებლობას, ამასთანავე, სამსახურიდან გათავისუფლების აქტი არის ერთჯერადი და მას არ აქვს განგრძობადი ხასიათი, რის გამოც არ დგას ნორმატიული აქტის არაპირდაპირი უკუქცევითი ძალის საკითხი, შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 20.03.2013 წლის კანონით შეტანილ ცვლილებებს უკუძალა არ ენიჭება. საპენსიო ასაკს მიღწეული მოხელის სამუშაოდან განთავისუფლება ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი ინიციატივით შეეძლო, გადაეწყვიტა მოხელის შრომისუნარიანობის, პროფესიული მომზადებისა და სხვა გარემოებების შეფასების შემდეგ, რაც ადმინისტრაციისა და არა სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო ადმინისტრაციული აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-512-494(კ-13), 29.05.14).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს სკ-ის 413-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1245-13, 31.10.2013) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2279-13, 13.09.2013) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხა იყო 10000 ლარი და განმარტა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას სასამართლო განსაზღვრავს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც უფლებამოსილი იყო, მოითხოვოს სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაცია.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით მიუთითა საქართველოს სკ-ის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას საყურადღებოა, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით შეამცირა მორალური ზიანის თანხის ოდენობა (**გადაწყვეტილება №ბს-648-623(2კ-13), 10.04.2014**).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 60<sup>1.4</sup>, 60<sup>1.7</sup> და 70.2 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/125-13, 29.03.2013) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1873-11, 03.08.2011) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას შემოიფარგლა მხოლოდ მესამე პირის კანონიერ ნდობაზე მსჯელობით და აღნიშნა, რომ დაუშვებელია აღმჭურველი ხასიათის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და შეფასების მიღმა დატოვა მოსარჩელის კანონიერი ნდობა მის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის მიმართ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტით ძალაში დარჩა ერთი ნაკვეთის მიმართ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზაკ-ის 60<sup>1.4</sup> მუხლი ითვალისწინებს კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არსებითად არღვევს სხვა პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი ვინაიდან არსებითად ირღვევა სხვა პირის კანონიერი უფლებები ან ინტერესი, რაც სადავო მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე მოსარჩელის სახელზე განხორციელებული საჯარო რეგისტრის ჩანაწერების არსებობის გათვალისწინებით მიიღება. ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაიდო, ზაკ-ის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იწვევს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობას, ვინაიდან ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (**გადაწყვეტილება №ბს-359-349(4კ-13), 24.04.2014**).

### 3. დასკვნა:

შესწავლილი მასალის ანალიზი შეეხო საკასაციო სასამართლოს განჩინება-გადაწყვეტილებების დასაბუთებას, რაც გახდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გაუქმების საფუძველი. შესწავლის შედეგად მოცემულ პერიოდში სააპელაციო სასამართლოების პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების შესახებ შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ:

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მესამე პუნქტის მოთხოვნის უგულებელყოფით სადავო სამართალურთიერთობა სამართლებრივად სწორად არ შეაფასა და არ იმსჯელა სააღსრულებო წარმოების შეჩერებაზე;
- არ გაითვალისწინა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 87-ე მუხლის მოთხოვნები კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ;
- არასწორად მიიჩნია, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25.1 მუხლის დანაწესის გავრცელება ნივთის რეგისტრირებული მესაკუთრის მიმართ დაუშვებელია, ასევე არ იმსჯელა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პრეიულიციული მნიშვნელობის შესახებ, რითაც დაირღვა სსკ-ის 106-ე მუხლის მოთხოვნა;
- არ გამოიყენა ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილება, ასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენებისას არ მიუთითა ადმინისტრაციული ორგანოს, თუ რა ფაქტების გამოკვლევაა საჭიროა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას;
- გამოიყენა სსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ისე, რომ არ გაითვალისწინა სსკ-ის 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსის მიმართ მოთხოვნილი წესები;
- არ გაითვალისწინა სსკ-ის 385-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული პროცესუალური უფლებამოსილება, თავად გადაეწყვიტა დავა;
- არასწორად გადაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და უგულებელყო სსკ-ის 102.3 მუხლის მოთხოვნები, რის გამოც არასწორად დაადგინა საქმის გარემოებები;
- არ გაითვალისწინა საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მეორე ნაწილისა და სსკ-ის მე-10 მუხლის მოთხოვნები, სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობა არსებობდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
- მხარეთა შორის არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი, რის გამოც სახეზე იყო სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი;
- ასკ-ის 17.2 მუხლის შესაბამისად, დააკისრა მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოზე, არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელემ არ უარყო სალარო აპარატის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობა და არ მიუთითა მესამე პირის ბრალეულ ქმედებაზე.

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით, არ დააკმაყოფილა სარჩელი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ;
- არ გამოარკვია იკვეთებოდა თუ არა საგადასახადო კოდექსის 139.4 ნაწილით დადგენილი ქმედების კვალიფიკაციისთვის სავალდებულო ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა;
- არ გამოარკვია მოსარჩელის მხრიდან სალარო აპარატის გამოუყენებლობა რისგან იყო განპირობებული, იყო თუ არა ბრალის გამომრიცხავი გარემოებები, რითაც დაირღვა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269.5 მუხლის მოთხოვნები;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281.7 ნაწილის დარღვევით არ იმსჯელა, არსებობდა თუ არა ისეთი ობიექტური გარემოება, რასაც შეეძლო გამოერიცხა მეწარმის ბრალეულობის საკითხი.
- არ გაითვალისწინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 50.1 მუხლში შეტანილი ცვლილება და ის გარემოება, რომ ამოღებულ იქნა იმავე კანონის 101-ე მუხლი;
- უგულებელყოფილ იქნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.8 მუხლის მოთხოვნები რეგისტრაციის გაუქმების შესახებ;
- აქტის კანონიერების შემოწმებისას არასწორად გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 101-ე მუხლის ახალი რედაქცია;
- შემოიფარგლა მხოლოდ მესამე პირის კანონიერ ნდობაზე მსჯელობით და შეფასების მიღმა დატოვა მოსარჩელის კანონიერი ნდობა მის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის მიმართ, რითაც დარღვეულია ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 მუხლის მოთხოვნა;
- დავის განხილვისას ისე უთხრა უარი მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ არ იმსჯელა ქონებრივი ზიანის რეალურ ოდენობაზე;
- მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას არ გაითვალისწინა საქართველოს სკ-ის 413-ე მუხლის მოთხოვნა;
- სააპელაციო საჩივრის განხილვისას შეფასების მიღმა დატოვა მოსარჩელის კანონიერი ნდობა, მის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის მიმართ, შემოიფარგლა მხოლოდ მესამე პირის კანონიერ ნდობაზე მსჯელობით, რის გამოც დაირღვა ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 და მე-7 ნაწილის მოთხოვნები.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლის  
და განზოგადების განყოფილება**